PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ფრიდონი გოგიაშვილი

წევრები: პაატა ცაგარეიშვილი
ნია გუგუნავა

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

II. ექსპერტის საერთო მიმოხილვა

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) 2021 წლის 27 თებერვალს წარმოდგენილი იქნა განაცხადი ქ.ფოთში(წმინდა გიორგის #24) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამმების დამატების შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის # 171814) და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი.

ცენტრის მიერ განცხადში არსებული ხარვეზების აღმოფხრის შემდეგ 2021 წლის 12 მარტს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრს მიაწოდა გასწორებული კორესპოდენცია (ცენტრში რეგისტრაციის #223179)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბაჟო საქმე“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 19 მარტს #258018 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის საზღვაო აკადემიაში ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ, შემდეგი შემადგენლობით:

1. ფრიდონ გოგიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, თავმჯდომარე;
2. პაატა ცაგარეიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი,წევრი;
3. ნია გუგუნავა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი,წევრი;

დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით, არ ირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სრულად მიეწოდა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებისათვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ საჭირო გახდა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დამატებით გარკვეული დოკუმენტების გამოთხოვა, რაც ეცნობა ცენტრს და შესაბამისი პროცედურების დაცვით მიეწოდა ექსპერთა ჯგუფს. იმის გამო, რომ დაწესებულებაში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება დისტანციურად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგა დისტანციურ-ადმინისტრაციულ წარმოებაზე მორგებული დღის წესრიგი რომელიც გადაიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და დაწესებულებასთან შეთანხმებით, შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით მოხდა გასაუბრებების და მატერიალური ბაზის დათვალიერება 2021 წლის 9 აპრილს.

ვიზიტის განხორციელების პირველ ეტაპზე მოხდა გასაუბრება სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და პროგრამის განხორციელების ადგილზე. (ქ.ფოთი წმ.გიორგის ქ#24) ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. გასაუბრების პროცესში მათ უპასუხეს იმ შეკითხვებს, რომლებიც ექსპერთა ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი შესწავლის დროს.

გამომდინარე იქედან, რომ ექსპერტთა ჯგუფს დასამატებელი პროგრამის ირგვლივ არსებული დოკუმენტაცია გადაეცა ვიზიტის დაწყებამედე რამდენიმე დღით ადრე, დისტანციური გასაუბრების ძირითადი დრო დაეთმო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პარტნიორ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში მოხდა ძირითადი სასწავლო-მატერიალური ბაზის დათვალიერება. დაზუსტდა გარკვეული საკითხები, რომლებიც დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ საჭიროებდა გადამოწმებას.

ვიზიტის სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯამებულ იქნა ჩატარებული სამუშაოს შედეგები და დასკვნით შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და ფოთის ფილიალის წარმომადგენლებს გააცნო ის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომელიც აისახება საბოლოო დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2021 წლის 9 აპრილს.

ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნის პროექტი სადაც შეჯამებული იქნა გამოვლენილი ხარვეზები და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები. შედგენილ იქნა პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი.

2021 წლის 14 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ წარდგენილ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და არგუმენტირებული პოზიციის მტკიცებულებები ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც პუნქტობრივად არის განხილული ის შეუსაბამობები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა აღმოჩენილი. კერძოდ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულია: პირველი სტანდარტი, ინდიკატორი 1.2.1 (1) [1]:

- ბათუმის საზღვაო აკადემიას ცალკე დოკუმენტად აქვს შემუშავებული პროფესიული განათლების განვითარების 2020-2024 წლის სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული გეგმის ვადა არ მოდის შესაბამისობაში პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 (1) [2]:

- A გარემოში არ არის მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი, დაფა და პრინტერი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულებას აქვს აღნიშნული ინვენტარი და ვერ მოასწრეს ამ ინვენტარის A

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

გარემოში განაწილება, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, მოცემული გარემოება შეფასდა როგორც ხარვეზი.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.1 (1) [3]:

- სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს. კერძოდ, მოდული და მისი წინაპირობით განსაზღვრული მოდული ისწავლება ერთსა და იმავე პერიოდში.

---

[1] ინდიკატორი 1.2.1 (1). პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

[2] ინდიკატორი 2.2.1 (1). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

[3] ინდიკატორი 2.4.1 (1). პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.2 (2) [4]

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინებისა და ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. მოცემული გარემოება ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ხარვეზი.

მე-4 სტანდარტი, ინდიკატორი 4.1.1 (3) [5]:

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში, ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნას. შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გარემოების გამო, ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი. (იხ დანართი 2) გეგმაში გაწერილი არის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები კონკრეტული თარიღების ჩვენებით, ასევე პუნქტობრივად არის გაწერილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონიძიებები, შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ გეგმის შესრულებით შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი ინდიკატორების შეფასების გაუმჯობესება.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

(შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში პროფესიული განათლების სისტემაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენება : <u>არ არის შესრულებული</u>
- შეფასების სისტემაში დაუძლეველი მოდულების რაოდენობის, როგორც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისსაფუძვლის, დაზუსტება: <u>არ არის შესრულებული.</u>
- პროფესიული განათლების მასწავლებლის და მოწვეული მასწავლებლის გამიჯვნა და მის მიმართ საკვალიფიკაციომოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბება: <u>არ არის შესრულებული.</u>

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>შესაბამისობის რეკომენდაციები</u>

1. ბათუმის საზღვაო აკადემიას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების განვითარების 2020-2024 წლის სტრატეგიული გეგმა. მიზანშეწონილია აღნიშნული გეგმის ვადა შესაბამისობაში მოვიდეს პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან;

---

[4] ინდიკატორი 2.4.2 (2). პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

[5] მე-4 სტანდარტი, ინდიკატორი 4.1.1 (3) - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

2. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო A და B გარემო სრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით სწავლის დაწყებამდე;
3. სასწავლო გეგმაში მოდულები დაიგეგმოს წინაპირობების გათვალისწინებით. კერძოდ, მოდულის სწავლება უნდა დაიგეგმოს ამ მოდულის წინაპირობით განსაზღვრული მოდულის დასრულების შემდეგ;
4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს (იხ. 2.4.2, მე-2 ინდიკატორი);
5. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა (იხ. 2.4.1, მე-2 ინდიკატორი).
6. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაცულ იქნას ის ვადები, რომელიც მითითებული არის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები</u>

1. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებში დაკონკრეტდეს პროფესიული განათლების ცენტრსა და ფოთის ფილიალს შორის ურთიერთობები. ასევე, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა კოორდინირებულად წარმოებდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხშირია ტექნიკური შეცდომები (დეტალებისთვის იხ. 2.1.1-ის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ბოლო ნაწილი). დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შექმნას ისეთი

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

მექანიზმი, რომელიც დააზღვევს ტექნიკური შეცდომებისგან. მაგალითად, მოხდეს მზა დოკუმენტების შემოწმება მათ დამტკიცებამდე/ხელმოწერამდე წინასწარ მომზადებული „საკონტროლო სიით“ (ე.წ. „ჩეკ ლისტით“)

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

3. რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ ინფორმაცია ასახულ იქნას შესაბამის რეგულაციაში;
4. სასწავლო გეგმის 51-ე, 55, 57, 62-68-ე კვირებში, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას;
5. შპს „სერვის პლიუსთან“ მემორანდუმში არ არის ნათლად გაწერილი, თუ პროგრამის რა კომპონენტზე (მათ შორის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) ვინ იღებს პასუხისმგებლობას. სასურველია მემორანდუმში გაჩნდეს შესაბამისი ჩანაწერები;
6. დაწესებულებამ შესაბამის რეგულაციაში კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები (იხ. 2.2.1, მე-4 ინდიკატორი);
7. რეკომენდებულია, რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და როგორია დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები. ასევე, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით (იხ. 2.4.2, მე-2 ინდიკატორი).

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სენატის გადაწყვეტილება #2/5 09.02.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის საზღვაო სასწავლო სამწვრთნელო ცენტრი ქ.ფოთი. წმ.გიორგის ქ.24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი ქ. ფოთი წმ. გიორგის ქ#24 მოდულური (იხ.ქვემოთ)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☑	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	<u>სრული 3</u>	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	<u>სრული 3</u>	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების

მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.

სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო აკადემიის მისიაში მითითებულია, რომ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე. შესაბამისად ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში რომელიც 2018-2024 წლებს მოიცავს და რომელიც დამტკიცებულია სენატის 2020 წლის 29 ივლისის #13/1 გადაწყვეტილებით, ჩაწერილი არის პუნქტები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების განვითარებას არა მარტო ბათუმში არამედ ფოთის ფილიალშიც. კერძოდ, სტატეგიული განვითარების გეგმაში (პუნქტი 6.7) მოცემული არის მიზნები პოფესიული განათლების განვითარებასთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის მიმართულებით მომუშავე კერძოდ, სტატეგიული განვითარების გეგმაში (პუნქტი 6.7) მოცემული არის მიზნები პროფესიული განათლების განვითარებასთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის მიმართულებით მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) 5 წლიანი გეგმა, რომლის 1-ლ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს „პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით“. დოკუმენტის მე-3 ამოცანად განსაზღვრულია - ”ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება“. დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრების დროს ექსპერტებს განუცხადა, რომ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

გეგმის დამტკიცებიდან 2 წლის შემდეგ მოხდა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის გამიჯვნა, რის გამოც ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა განისაზღვრა დარჩენილი 5 წლის ვადით. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული, არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1--ლი სტანდარტის 1.2.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა მოარგოს ხსენებული სტანდარტის მოთხოვნებს.

დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ რეგიონში (ფოთი) არსებობს დიდი შრომის ბაზარი, რომელიც მოიცავს როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორს, ესენია: სარფისა და ბათუმის საბაჟო გამშვები პურქტები, ბათუმის გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ), ფოთისა და ყულევის საბაჟო გამშვები პუნქტები, ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ), ქუთაისის საბაჟო გამშვები პუნქტი, ქუთაისის აეროპორტი, ბათუმის საზღვაო ნავსადგური, ფოთის საზღვაო ნავდგური, ანაკლიის საზღვაო ნავსადგური, სუფსის ტერმინალი, ყულევის ტერმინალი, რეგიონში არსებული გადამზიდი კომპანიები, გემის სააგენტო და საბროკერო კომპანიები და სხვა. გარდა ამისა, დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესს წარმართავენ დარგის გამოცდილი სპეციალისტები და საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მაღალი დონის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც ემსახურება პროგრამას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 პუნქტით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი პროცედურები: მიღების გამოცხადება (მე-2 მუხლი), პროფესიული ტესტირება (მე-3 მუხლი), პროფესიული ტესტირების სამართლებრივი შედეგები (მე-5 მუხლი), არაქართულენოვანი აპლიკანტების სწავლება (მე-6 მუხლი), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლება (მე-7 მუხლი). აღნიშნული ჩანაწერების ფარგლებში, მითითებულია ჩასარიცხი პირების მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დადგენილია სსსმ აპლიკანტებისთვის განსაზღვრული ადგილების მინიმალური ოდენობა - თითოეულ პროგრამაზე არანაკლებ 15% და გათვალისწინებულია არასრუწლოვანი პირების შემთხვევაში მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ დაშვების წინაპირობა და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“ (სენატის გადაწყვეტილება №13/12, 27.11.2018წ). პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობა, სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს. დასაბუთებაში აღნიშნული აუდიტორიების ნომრები დაზუსტდა ვიზიტისას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ნაწილში პრობლემა არ იკვეთება.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღჭურვილობის და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი და ფაქტობრივი მდგომარეობა შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. საგანმანათლებლო რესურსთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო საქმის სასწავლო რესურსს წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც ხშირად განიცდის ცვლილებებს.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულებაში ისეთი პირის არსებობას, რომელსაც ექნებოდა დაშვება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. დაწესებულებამ წარმოადგინა მოთხოვნილი მტკიცებულებები. შესაბამისად, აღვნიშნავთ, რომ საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სენატის გადაწყვეტილებით, ხოლო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 30 ნოემბრის №18/20 გადაწყვეტილებით დამტკიცებული - „სსიპ - სასწავლო უნივერისტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის რეგლამენტის“ მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, სენატი „ძირითადი და/ან დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს“.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

პროგრამის შედარებით საგანმანათლებლო სტანდარტთან (ჩარჩო დოკუმენტთან), მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან/ასევე დასაქმების სფეროსთან და სწავლის შედეგებთან დგინდება, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის და ჩარჩო დოკუმენტის შედარებით დგინდება, რომ პროგრამის პარამეტრები, მოდულები შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტს (ჩარჩო დოკუმენტს). მოდულების დამხმარე ჩანაწერების შესწავლით დგინდება, რომ ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; სასწავლო გეგმაში არსებობს დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის;

განმავითარებელი რეკომენდაციები:

- პროფესიული პროგრამებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ სენატის №2/5 გადაწყვეტილება თარიღდება 09.02.2021-ით, ხოლო პროგრამა თარიღდება 2020 წლით. სავარაუდოდ, ადგილი აქვს ტექნიკურ შეცდომას, რაც საჭიროებს გამოსწორებას, კერძოდ, პროგრამაზე არსებული თარიღი შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის დამტკიცების თარიღთან;

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

- ყველა მოდულის სასწავლო რესურსებში წერია განახლებული საბაჟო კანონმდებლობა, თუმცა ზოგიერთი მოდულის კომპეტენციის პარამეტრებსა და დამხმარე ჩანაწერებში ჩარჩენილია ძველი, ძალადაკარგული ნორმატიული აქტები (მაგალითად საბაჟო ზედამხედველობის მოდული). სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ტექნიკურ შეცდომას. სასურველია ძალადაკარგული კანონმდებლობა ამოღებულ იქნას ადაპტირებული მოდულიდან;
- სასაქონლო ოპერაციებისა და საბაჟო გადასახდელების მოდულში გასასწორებელია ტერმინოლოგია. კერძოდ, ტერმინი „სასაქონლო ოპერაციები“ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ახალი საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ განმარტებასთან - „საბაჟო პროცედურები“, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ რეექსპორტს აღარ ქვია „საბაჟო პროცედურა“ და ცალკე პროცედურად გამოიყო „მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება“;
- სასაქონლო ოპერაციებისა და საბაჟო გადასახდელების მოდულის სასწავლო რესურსებში ჩასამატებელია „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, ვინაიდან გადასახადების განაკვეთების განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით;
- პროფესიული პროგრამის მე-14 პუნქტში აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტები არიან „შპს „სერვის პლიუსი“; შპს „სოფმარი“ და შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“ GTI. პროგრამის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს მხოლოდ შპს „სერვის პლიუსთან“. ვინაიდან დაწესებულებამ წარმოადგინა ამ უკანასკნელთან გაფორმებული მემორანდუმი, ასევე შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული მემორანდუმი, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ტექნიკურ შეცდომას, რაც საჭიროებს გამოსწორებას - პროგრამის მე-14 პუნქტში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც არსებობს შესაბამისი მემორანდუმები.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი დოკუმენტები:

- ✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილება №2/5. 09.02.2021 – „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო საწვრთნელი ცენტრის პროფესიული პროგრამებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ“;
- ✓ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ✓ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს „საბაჟო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
- ✓ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 30 ნოემბრის №18/20 გადაწყვეტილებით დამტკიცებული - „სსიპ - სასწავლო უნივერისტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის რეგლამენტი.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები:

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიის მიმართულებით მუშაობის/სტაჟის დამადასტურებელი ცნობები
- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირთა შრომის წიგნაკების ასლები

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირების მიერ მოდულების სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები (გარდა ერთისა);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მათი შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტები:

- ✓ დაწესებულების 2021 წლის 11 თებერვლის წერილი სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ სახელზე, არსებული და დამწყები პროფესიული მასწავლებლების გადამზადების მიმართულებით შესაბამისი ტრენინგ-კურსების დაგეგმვის თაობაზე;
- ✓ განვითარების გეგმა 2021

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით**.**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დათვალიერდა ყველა სასწავლო გარემო. გაირკვა, რომ:

A გარემო - A გარემოსთვის გამოყენებულ იქნება 107 აუდიტორია (ნაცვლად 307-ისა, რაც მითითებული იყო წარმოდგენილი განცხადების დანართ 11-ში). დათვალიერების პროცესში აღმოჩნდა, რომ A გარემოში არის 15 სტუდეტისთვის საჭირო მერხი და სკამი, თუმცა არ არის მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი, დაფა და პრინტერი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ აქვთ აღნიშნული ინვენტარი და ვერ მოასწრეს ამ ინვენტარის A გარემოში განაწილება, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

B გარემო - B გარემოსთვის გამოყენებულ იქნება 106 და 108 აუდიტორიები (ნაცვლად 306 და 304 აუდიტორიებისა, რაც მითითებული იყო წარმოდგენილი განცხადების დანართ 11-ში). თავდაპირველად გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, ასევე დათვალიერების დროსაც გამოჩნდა, რომ B გარემოსთვის გათვალისწინებულ 106-ე აუდიტორიაში არის მხოლოდ 12 პროფესიული სტუდენტისთვის საკმარისი ინვენტარი. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, ვინაიდან B გარემოსთვის გათვალისწინებულია ასევე 108-ე აუდიტორია, რომელშიც დათვალიერების დროს იდგა 18 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარი, მოახდენენ მათ თანაბარ (15-15) გადანაწილებას ორ B გარემოს შორის (106 და 108 აუდიტორიებში).

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

<u>აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახული იქნებოდა A სასწავლო გარემოს ყველა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი. მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ შეესაბამება სტანდარტს და ფასდება როგორც ხარვეზი.</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით) არის - 7. მათ შორის 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი). პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

მასწავლებლების განათლების/მუშაობის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით მოთხოვნილ იქნა დოკუმენტები რაც დაადასტურებდა მასწავლებელთა დარგის მიმართულებთ მუშაობის გამოცდილებას და იმას, რომ ყველა

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

მასწავლებლებს აქვს ასევე სწავლების კომპეტენცია. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ყველა მასწავლებელს აქვს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების დარგობრივი ცოდნა/გამოცდილება განსავითარებელი სწავლის შედეგების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება სწავლების კომპეტენციას, პროფესიული განათლების ერთ მასწავლებელს არ უდასტურდება სწავლების კომპეტენცია, თუმცა გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ აღნიშნულ მასწავლებელი იაზრებს პასუხისმგებლობას და აქვს მოტივაცია თავისი პრაქტიკული გამოცდილება გადასცეს პროფესიულ სტუდენტებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებაც ზრუნავს რაც გამოიხატება იმით რომ მათ მიერ წარმოდგენილ 2021 წლის ე.წ. ხარისხის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების ახალი მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლება. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 2021 წლის 11 თებერვალს მიწერილი წერილი, სადაც დაწესებულება ეროვნულ ცენტრს სთხოვს პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით (№2/5, 09.02.2021) დამტკიცებულია პროფესიული პროგრამები და პროგრამის ხელმძღვანელები. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების“ დოკუმენტის მე-7 მუხლში (პროგრამის შემუშავების პროცედურა) გაწერილია, რომ პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელს. დოკუმენტის

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

მე-7, მე-4, მე-5 მუხლებში გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მხრიდან დაწესებულება მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების კონსოლიდირებულად ჩამოყალიბების შესახებ. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, ასევე განხორციელდა ინტერვიურება. აღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო რესურსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო საქმის სასწავლო რესურსს წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც ხშირად განიცდის ცვლილებებს. ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულებაში ისეთი პირის არსებობას, რომელსაც ექნებოდა დაშვება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. დაწესებულებამ წარმოადგინა მოთხოვნილი მტკიცებულებები. შესაბამისად, აღვნიშნავთ, რომ საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის საზღვაო აკადემიის სენატის №12/5 (24.07.2020წ) გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება არამარტო სსსმ პირებისათვის არამედ იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ტიპის განსხვავებული მოთხოვნები. გასაუბრების გზით დგინდება, რომ აღნიშნული მიდგომები გამოყენებული იქნება ასევე, ფოთის ფილიალში არსებულ პრგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვისაც.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 167520 ლარი, ხოლო და ხარჯების ნაწილში - 16690 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას საათობრივად მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სახარჯი მასალების ხარჯებს, კომუნალური მომსახურების ხარჯებს, მივლინების ხარჯებს და სხვა ხარჯები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღვნიშნავთ, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია,

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აუმჯობესებს ზემოთ აღნიშნული ინდიკატორის შეფასებას.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალით;
- ✓ ფაქტობრივი დისტანციური დათვალიერებით.

შეფასება**:**

☐ შეესაბამება

☑ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით**.**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღაო აკადემიაში არსებობს „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის, დაგეგმვის შემუშავების და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის №12/5 გადაწყვეტილებით. დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნული პროგრამების შეფასების ეფექტური მექანიზმები ბათუმის საზღვაო აკადემიას საშუალებას მისცემს მოახდინოს სწავლისა და სწავლების ხარიხის გაუმჯობესება სრულყოს სასწავლო და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, გამოავლინოს პროგრამაში არსებული ხარვეზები, დანახორციელოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხევის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენოს პროგრამების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. ვიზიტის მიმდინარეობის დროს ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დამატებელი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული კვლევები გამოყენებულ იქნება ფოთის ფილიალში განხორციელებული პროგრამების სრულყოფისათვის და სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. ინტერვიურებით ასევე დგინდება, რომ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შეფასება ხდება შიდა შეფასების მექანიზმებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გარე მექანიზმებით შეფასებისას როგორც სფეციფიკური დარგი შეფასებაში მონაწილეობას ღებულობს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სასერტიფიკაციო ორგანოები.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-2 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის შემუშავების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია, რომ პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის მიზნებისთვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან - განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

პოტენციური დამსაქმებლები. სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლში მოცემულია პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა და პროგრამის გაუქმების პირობები. მე-4 მუხლის მიხედვით, პროგრამაში ცვლილების საფუძვლებია - ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან მიღებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტრესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები და სხვა. დოკუმენტში აღწერილია, რომ ცვლილება განიხილება სამუშაო ჯგუფში და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსს, რომელიც მიმართავს სენატს. ცვლილებების შესახებ ეცნობება ხარისხის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს. სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის სამსახურს, საბოლო გადაწყვტილება კი მიიღება სენატის მიერ და წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი „სასწავლო სემესტრის“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

დოკუმენტის მე-5 მუხლის მიხედვით, პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლებელია იყოს შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარები და რისკები - მატერიალური ან ადამიანური რესურსის სიმცირე, მოთხოვნადობის ნაკლებობა, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, მხრადამჭერ პარტნიორებთან თანმშრომლობის შეწყვეტა და სხვ. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სენატი პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირების და პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინებით. ინფორმაციას ავრცელებს იურიდიული სამსახური.

<u>დოკუმენტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმებს. განსაზღვრულია პროგრამის შიდა შეფასებაზე უფლებამოსილ პირები/ორგანო: - შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახურის აუდიტი. განსაზღვრულია პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები:</u>

„7.4.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.

7.4.2. სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების გზით.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

7.4.3. პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.

7.4.4. სასწავლო მასალის მონიტორინგი.

7.4.5. სასწავლო გარემოს მონიტორინგი.

7.4.6. საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდულ შემოწმება.

7.4.7. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი.

7.4.8. გარე ფაქტორების გათვალისწინება (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება)“.

დოკუმენტის მე-19 მუხლში განსაზღვრულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის მიზანი, შემადგენლობა და ფუნქციები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის მიზანია პროფესიული პროგრამების წარმატებით დანერგვა, პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების გატარება. აღნიშნული ჯგუფის შემადგებლობაში შედის შემდეგი სუბიექტები - ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მიმართულებიდან ან/და დარგის წარმომადგენელი. საგანმანათლებლო დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინტერვიურების დროსს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

<u>გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა/შენარჩუნება. ექსპერტების მიერ გარემოება ფასდება როგორც ხარვეზი, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზღვაო აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინერვიურება, ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის, სასწავლო უნივერსიტეტის და ფოთის ფილიალის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას**.**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს. კერძოდ, მოდული და მისი წინაპირობით განსაზღვრული მოდული ისწავლება ერთსა და იმავე პერიოდში. <u>აღნიშნული გარემოება ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც ხარვეზი.</u> გარდა ამისა, სასწავლო გეგმის 51-ე, 55, 57, 62-68-ე კვირებში, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. სასურველია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვასთან.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Erase Free

2. ამდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის წესი (მუხლი 11), სადაც გაწერილია, რომ სტატუსის შეჩერება ხდება 5 წლის ვადით. დოკუმენტის მე-12 მუხლში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის“ პირობები. პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე და შიდა) და მიღებული განათლების აღიარების პირობები. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მუხლები უნდა გადაიხედოს დაწესებულების მიერ და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №198/ნ ბრძანებას. დოკუმენტის მე-13 თავში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარების“ პირობები. მე-14 თავში მოცემულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის“ წესები. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტში არის შემდეგი ჩანაწერი - „თუ საზღვაო აკადემიაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე, აკადემია ვალდებულია პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე გააფორმოს ხელშეკრულება სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით“. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ჩანაწერი ზღუდავს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის არეალს და რეკომენდირებულია გადაიხედოს დაწესებულების მხრიდან.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიას აქვს სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს მათ საჭიროებაზე.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულებაში არსებობს პირი, რომელსაც დაშვება აქვს საკანონმდებლო მაცნეში. ეს გარემოება საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს თანამედროვე მეთოდებით მოიძიონ საჭირო საკანონმდებლო აქტები და მათში შესული ცვლილებები (ზუსტად ისე, რასაც აკეთებს მებაჟე ოფიცერი ყოველდრიურ სამუშაო გარემოში). გარდა ამისა, პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტებს საშუალება აქვთ შეავსონ საბაჟო დეკლარაცია და აღრიცხვის მოწმობა, ასევე დაესწრონ ამ დოკუმენტების შევსების პროცედურებს და გამოიყენონ ყველა ის ინვენტარი, რასაც იყენებს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი - მებაჟე-ოფიცერი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის საზღვაო აკადემიის სენატის №12/5 (24.07.2020წ) გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება არამარტო სსსმ პირებისათვის არამედ იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ტიპის განსხვავებული მოთხოვნები. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

გადაწყვეტილება N12/5, 24.07.20210) მე-6 მუხლში განსაზღვრულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ შემუშავების პირობები. დოკუმენტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად; ასევე, სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, მათი აკადემიური მომზადების და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით და მორგებული უნდა იყოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს და სხვ. გასაუბრების გზით დადგინდა, რომ აღნიშნული მიდგომები გამოყენებული იქნება ასევე ფოთის ფილიალში არსებულ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვისაც. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

არსებობს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან შპს „სერვის პლიუსი“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური. მემორანდუმებში გაწერილია, კოლეჯსა და ობიექტს შორის კოორდინაციის საკითხები.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

<u>განმავითარებელი</u> რეკომენდაცია: შპს „სერვის პლიუსთან“ მემორანდუმში არ არის ნათლად გაწერილი, თუ პროგრამის რა კომპონენტზე (მათ შორის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) ვინ იღებს პასუხისმგებლობას. სასურველია მემორანდუმში გაჩნდეს ასეთი ჩანაწერები.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა ND 2- O07-02. დაწესებულებას ყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორი პირი. B გარემოს ფოტოებიდან ჩანს რომ დაცულია ზოგადი უსაფრთხოების წესები. პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების დაცვას.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც წარმოდგენილი იყო არგუმენტირებულ პოზიციაზე, აუმჯობესებს ზემოტ აღნიშნული ინდიკატორების შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ მემორანდუმით შპს „სერვის პლიუსთან“;
- ✓ მემორანდუმით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურთან;
- ✓ დაწესებულების მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმით ND 2- O07-02;
- ✓ გასაუბრებით შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთან.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☑ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლი ეხება „პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციას“. აღნიშნული მუხლის ჩანაწერები ნაწილობრივ ფარავს შეფასების სისტემისადმი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც მოიაზრებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ შემოწმებას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის განმარტებას. აღსანიშნავია, რომ მოცემული მუხლი შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. კერძოდ: - „შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე“, „შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით“ და სხვ.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

ინტერვიურებსას გამოიკვეთა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ტერმინებისა და ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. ექსპერტთა მიერ აღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც ხარვეზი. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს, ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -- ბათუმის საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ძირითადი საკითხები რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად (სენატის გადაწყვეტილება №12/4 24.07.2020წ) აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლში გაწერილი არის შეფასების ეტაპები, შეფასების სახეები, შემფასებელი პირის ვალდებულებები, სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, პროფესიული სტუდენტის უფლებები. ასევე განსაზღვრულია მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები და შენახვის ვადები. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

შემდეგ მომდევნო ჯგუფთან“. აღნიშნული ჩანაწერი არ არის გამჭვირვალე, არ იძლევა მკაფიო განმარტებას პროფესიული სტუდენტის მიერ წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების უფლებით სარგებლობის შესახებ. საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ, მკაფიო და გამჭვირვალე ჩანაწერებს პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის ვადების, რაოდენობისა და პირობების შესახებ.

დოკუმენტის მე-10 მუხლი ეხება „სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებას და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/შედეგის აღდგენას“. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადები შეფასების გასაჩივრების მიზნებისთვის არასრულია. ცდომილებით არის დადგენილი განმახორციელებლის მიერ შეფასების შედეგების ადმინისტრაციისათვის მიწოდების ვადა - არანაკლებ 3 სამუშაო დღე. არ არის მითითებული პროფესიული სტუდენტებისათვის შემფასებლის მიერ შეფასების შედეგების გაცნობის ვადები. დოკუმენტში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს გასაჩივრების შესაძლებლობა აქვს არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. დოკუმენტში ვერ დგინდება საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადები. <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და როგორია დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები. ასევე, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც</u>

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

<u>პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით.</u> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 თავის მე-14 და მე-16 პუნქტებით რეგულირდება სწავლის შედეგების დამადასტურებელი უწყისის და მტკიცებულებების შენახვის ვადები, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან - უწყისი ინახება უვადოდ, ხოლო მტკიცებულებები და სტუდენტის პორტფოლიო კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა ინდიკატორით გათვალისწინებული ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შეფასების შედეგების გაცნობის მექანიზმების არსებობის შესწავლის მიზნით შემოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. <u>აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის ჩანაწერი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.</u> გასაუბრება განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების დასრულების შემდეგ ხდება მათი იფორმირება სხვადასხვა გზით - ჯგუფურად ელექტრონული სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით და ასევე

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

მეცადინეობების დროს. პროფესიული მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ - ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლის შედარებას, გადინების მიზეზების დადგენას და ამ გზით პროგრამებში ცვლილებების შეტანის საჭიროებების განხილვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ამ ინდიკატორების შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულერებელი წესი (სენატის გადაწყვეტილება #12/4 24.07.2020წ);
- ინტერვიურება;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☑
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/
/ნ. გუგუნავა/

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

თარიღი

21/05/2021 წ.

ქ.ფოთი 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ფ. გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /პ. ცაგარეიშვილი/

/ნ. გუგუნავა/